ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 27 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 32 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომაზე მოწვეულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენელი ბ. ნაჭყებია, საკრებულოს წევრებისთვის აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებზე ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

მოწვევით: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბესიკ ნაჭყებია.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების,

რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

8. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

12. „ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ვ. ქანთარია - - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

13. „ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

14. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

16. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

17. „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

18. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ მოსაზრებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით არ აქვს შენიშვნა, თუმცა მერიის მიმართ გამოთქვა უკმაყოფილება, იქიდან გამომდინარე, რომ საკითხები დროულად არ არის წარმოდგენილი საკრებულოში და საკრებულოს წევრები ვერ ასწრებენ საკითხის შესწავლას დროის სიმცირის გამო და მოუმზადებლები ხვდებიან სხდომას საკრებულოს წევრები.

ე. ჯობავა - დაეთანხმა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ საკითხების საკრებულოში დროულად წარმოუდგენლობის გამო, დღევანდელ ბიუროს სხდომაზეც გამოითქვა შენიშვნები მერიის სამსახურების მისამართით და იმედია გაითვალისწინებენ გამოთქმულ შენიშვნებს შესაბამისი სამსახურები.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 1 (ი. ჯიშკარიანი)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ მისი აზრით უპრიანი იქნებოდა ძალოსნების ჯგუფი გახნილიყო და მისი მწვრთნელისთვის ხელფასი დაენიშნათ, რადგანაც ხობელი მკლავჭიდელები ბევრ წარმატებას აღწევენ.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა წარმატებები მიულოცა ძალოსნებს და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში წარმატებული სპორტის სახეობები უნდა წახალისდეს. მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე ფართო დისკუსია უნდა გაიმართოს.

რ. შულაია - განაცხადა, რომ კულტურის სამსახურმა მოამზადა მემორანდუმი ჯგუფის გადაადგილებასთან დაკავშირებით და ფედერაციის მხრიდან არის სრული თანხმობა, რომ თავის თავზე იღებენ ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯებს. როდესაც მუნიციპალიტეტში მულტიფუნქციური ცენტრი გაიხსნება, ამის შემდგომ გაიხსნება ძალოსნების ჯგუფი.

მ. ქარდავა - განაცხადა, რომ რატომ უნდა ჩაურიცხოს მუნიციპალიტეტმა ფედერაციას თანხა, ადგილობრივი სპორტმენების დსაფინანსებლად. მისი აზრით უპრიანი იქნებოდა ჯგუფის გახსნა და ადგილზე მწვრთნელის დანიშვნა.

რ. შულაია - განმარტა, რომ კულტურის სამსახურმა კვალიფიციურ იურისტებთან გაიარა კონსულტაციები და მათი მხრიდან არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ აქვს, ეს უბრალოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება.

ე. ჯობავა - განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური განხილვა უმჯობესი იქნება საკრებულოს კომისიაზე მოხდეს, რათა ნაკლები კითხვები არსებობდეს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 1423,9 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები მცირდება 274,4 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებები. ნაშთის 1423,9 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული 274,4 ათასი ლარი, სულ 1698,3 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ

ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 302,9 ათასი ლარი - პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებებზე; 3,4 ათასი ლარი - პრიორიტეტის „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება" ასიგნებაზე, კერძოდ: პროგრამის „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა" ასიგნებაზე; 1354,3 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე, კერძოდ: 229,8 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე, 291,4 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე, 50,7 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე, 44,6 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია „მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე, 98,4 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, 639,4 ათასი ლარი პროგრამის „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებაზე; 37,7 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე, კერძოდ: 5,5 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებების დაფინანსება" ასიგნებაზე, 32,2 ათასი ლარი პროგრამის „კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა" ასიგნებაზე, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრი"-ს სუბსიდია. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10669,9 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. გოგოლაძე)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად განისაზღვრა მოქალაქეთა უფლება პეტიციის ელექტრონული წესით წარდგენის თაობაზე. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, სადაც დეტალურადაა აღწერილი პეტიციის ელექტრონულად წარდგენასთან დაკავშირებული პროცედურები დადგენილების მე-100[1] მუხლში. ამასთან რეგლამენტის მე-100 მუხლი, რომელიც შეეხება პეტიციის წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურებს ყალიბდება ახალი რედაქციით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ახალმიღებულ კანონთან „საჯარო სამსახურის შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საკრებულოს აპარატის საქმიანობა, წარმოდგენილი დებულების თანახმად საკრებულოს აპარატი ახორციელებს საკრებულოს ორგანიზაციულ, სამართლებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას; ერთიან საქმისწარმოებას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით; მოსამსახურეთა საქმიანობის ხელშეწყობას; საკრებულოს კავშირურთიერთობების ორგანიზებას საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-9 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით დადგენილების პროექტები მომზადებულია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი დასკვნების (№34837 20.11.2017 წ.; №34976 21.11.2017 წ.) საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის სამსახურების დებულებებს. აღნიშნული სამართლებრივი დასკვნების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილებების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებებში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ძირითადად შეეხება აქტის ძალაში შესვლის პროცედურას. ამასთან „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული რეგულაციები შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც მოხელის ფუნქციის დაკისრების შესაძლებლობა გარდა პროფესიული საჯარო მოხელეებისა, ასევე გავრცელდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა, კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2017 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, ხოლო დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისგან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება ხომ არ იყო განთავისუფლებული?

მ. ნაჭყებია, ჯ. ბერაია - გამომსვლელებმა განმარტეს, რომ დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის გადახდა ყველა დაწესებულებას ეხება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, კიდევ ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: რ. სერგია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო ობიექტები იხდიან დასუფთავების მოსაკრებელს თუმცა ამ სავაჭრო ობიექტების მიმდებარედ ურნები არ დგას. დაინტერესდა რატომ ახდევინებდნენ მათ დასუფთავების მოსაკრებელს?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ სავაჭრო ობიექტების მეპატრონეების უმრავლესობის მოთხოვნით იქნა ნაგვის ურნები აღნიშნული ტერიტორიიდან გატანილი და მოშორებით განთავსებული.

ი. სერგია - გამომსვლელმა ასევე განაცხადა, რომ ქალაქში განთავსებული პატარა ურნებიდან მარტო 20% თუა დარჩენილი, დანარჩენი განადგურებულია და აუცილებელია ახალი ურნების განთავსება.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული ზომის ურნებზე შეკვეთა არის მიცემული და ახალი ურნები ეტაპობრივად განთავსდება შესაბამის ადგილებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მიუხედავად იმისა, რომ ძალადაკარგულად ცხადება „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 თებერვლის

N141 დადგენილება, არსებითად დადგენილებაში არაფერი არ იცვლება, გარდა დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის N2 დანართისა, სადაც დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრის ცხრილში, ნარჩენების დაგროვების ნორმაში შედის ცვლილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების,

რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების როგორც პრივატიზება, ასევე სარგებლობის უფლებით გადაცემა, აუქციონის წესით. ზემო აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ქონების კანონშესაბამისად გასხვისების თუ სარგებლობის უფლებით გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

8. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია გახადოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე. რაც შეეხება დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებამოსილებას, ეს უფლება გაწერილია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“. კომისიის მიერ კანონის ამ მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც განისაზღვრა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და მათი გამოქვეყნების წესები, ასევე დაინტერესებული პირების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სტანდარტები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსების ორგანიზებისთვის მიმდინარე სამუშაოების პროცესში წარმოიშვა ვაკანსია მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში. სამსახურის უფროსის წინადადების შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამსახურში არსებული თანამდებობების იერარქიული კუთვნილებისა და თანამდებობის დასახელების ცვლილება და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად დაკორექტირდა ცალკეულ თანამდებობათა იერარქიული კუთვნილება და თანამდებობის დასახელება, კერძოდ: მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მონიტორინგისა კონტროლის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა გარდაიქმნა მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, ხოლო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების შიდა აუდიტის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ა. ხურცილავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 10 წუთით

შესვენების დასრულების შემდგომ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა

11. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ პეტიციის წესით საკრებულოში შემოვიდა განცხადება საკრებულოს წევრის ანგარიშგების წესთან და პროცედურებთან დაკავშირებით, კერძოდ პეტიცია შეეხებოდა საკრებულოს წევრების მხრიდან ამომრჩევლებისთვის ანგარიშის ყოველ სამ თვეში წარდგენას და ანგარიშის ტიპური ფორმის საკრებულოს მიერ დამტკიცებას. წარმოდგენილი წინადადება განხილულ იქნა კომისიის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულება საკრებულოს წევრმა არაუგვიანეს 1 ნოემბრისა ამომრჩევლებს წარუდგინოს დეტალური ანგარიში გაწეული საქმიანობის თაობაზე, დარჩეს უცვლელად. ამ უფლებამოსილების ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ყოველი წლის ოქტომბერში საკუთარ ამომრჩევლებს წარუდგენენ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს. 2015-2017 წლების განმავლობაში, აღნიშნული ანგარიშები ფორმდებოდა საკრებულოს აპარატის მიერ მომზადებული სპეციალური ოქმებით, რომლებიც გამოქვეყნებულია წლების მიხედვით საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამასთან კომისია თვლის, რომ ზემო აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ოქმი დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულებით, პეტიციის მოთხოვნის შესაბამისად, რაზედაც კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის ოქმის დამტკიცების თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიიდან შემოსული წერილი, რომელიც შეეხებოდა ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭებას, განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად საკრებულოს განკარგულებასთან „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“, მოსახლეობის გამოკითხვის და საჯარო განხილვის შედეგებისა და კომისიის დასკვნასთან ერთად გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას. კომისიის დასკვნაში განმარტებული იყო, რომ გოგი მამფორია თამაშობდა ხობის „კოლხეთში“ და თავისი ოსტატობით გულშემატკივართა დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა. იგი ათეულობით წლების მანძილზე ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა გეოგრაფიის მასწავლებელად, იყო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და პირნათლად ემსახურებოდა განათლებული და ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს. გოგი მამფორია გარდაიცვალა 1993 წელს და ადგილობრივი მოსახლეობა სტადიონისთვის მისი სახელის მინიჭებით ცდილობს გამოხატოს ის უდიდესი პატივისცემა, რაც წლების მანძილზე დაიმსახურა, რის გამოც კომისიამაც მიზანშეწონილად მიიჩნია სახელდების განხორციელება და შესათანხმებლად გადაეგზავნა წერილი სამთავრობო კომისიას. კომისიის მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი და საკრებულოში წარმოდგენილ იქნა ამონაწერი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმიდან, რომლითაც თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

13. „ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში რკინიგზის გადასასვლელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის 2017 წლის 28 ივლისის N4375 და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 22 დეკემბრის N2-14/14906 წერილების შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ხორციელდება რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშნების განთავსება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 23 ოქტომბრის N32144 სამართლებრივი დასკვნის თანახმად მიზანშეწონილად ჩაითვალა საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით მისაღები სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის განკარგულების საფუძველზე, რომლითაც ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ხორციელდება შემდეგი საგზაო ნიშნების განთავსება: ა) შუა ქვალონისა და ქვემო ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი „უშლაგბაუმო გადასასვლელი“ (N1.2 - 1 ცალი) ბ) ქვემო ქვალონისა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი რკინიგზის გადასასვლელთან „მიახლოების ნიშანი“ (N1.4.1. - 1 ცალი) გ) ნოჯიხევის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი

„უშლაგბაუმო გადასასვლელი“ (N1.2.-2 ცალი). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

14. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გარკვეული ნაწილი, მდებარე ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N188-ში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 აგვისტოს N48 და 2015 წლის 29 მაისის N26 განკარგულებების საფუძველზე სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით გადაცემული ჰქონდა ფიზიკურ პირებს 2020 წლამდე. გამომდინარე, იქედან რომ გაიჯარებული ქონება არის ამორტიზებული და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, რისი შესაძლებლობა ადგილობრივ ბიუჯეტს არ

გააჩნია, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნა ამ ქონების გასხვისება და საპრივატიზებო ნუსხაში შეტანა. ამ ფაქტიდან გამომდინარე მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ", რომლის საფუძველზეც მერიის მიერ განხორციელდება საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 1 (ი. სერგია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N58 განკარგულებით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ", მერს მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი

(განუსხვისებელი) ქონების, მდებარე ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N188, გასხვისების შესახებ. თანხმობის პროექტს თან ერთვოდა აუდიტორიული დასკვნა, რომლის საფუძველზეც ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც აშენებულია 1945 წელს, ამორტიზირებულია და შენობა ფაქტიურად გამოყენებისთვის უვარგისია, შენობის განახლება-რემონტი საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ფართის პრივატიზება და წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ხელმოსაწერად მომზადების პროცესში კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკორექტირდეს მისი სათაური საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ: „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ", სხვა მხრივ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა კომისიის მიერ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 1 (ი. სერგია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

16. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი დამატებით იქნა დეტალურად შესწავლილი, შესაბამისი კომისის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მ. ქარდავასთან ერთად და ყველა კითხვას ამომწურავად გაეცა პასუხი. გამომსვლელმა მცირეოდენი შესავლის შემდგომ სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში იანვრის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომელიც შესწავლილ იქნა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და პროექტის კორექტირებისა და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების საბალანსო ღირებულების დაზუსტების მიზნით საკითხი დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას, გამომდინარე იქედან, რომ როგორც კომისიისთვის იყო ცნობილი 2017 წელს აღნიშნულ შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და კომისია დაინტერესდა ცვლიდა თუ არა აღნიშნული სამუშაოების ჩატარება შენობის საბალანსო ღირებულებას. საკრებულოდან მიღებული წერილის შესაბამისად მერიის მიერ განხორციელდა ქონების აუდიტორული შეფასება და მისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრა 94000 ლარით, ნაცვლად 32900 ლარისა, საიდანაც 75000 ლარი შენობა-ნაგებობის ღირებულებაა, ხოლო 19000 ლარი მიწის, რაზედაც დამაგრებულია ქონება. მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ფართი პირდაპირი განკარგვით წესით გადაეცეს ტენდერში გამარჯვებულ იურიდიულ პირს და საიჯარო ქირა განისაზღვროს 186 ლარით, ხოლო ინვენტარის ქირა 84 ლარით, სულ საიჯარო ქირა თვეში განისაზღვროს 270 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

17. „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N84 განკარგულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და გეგმის კორექტირების მიზნით მერიის სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოოდ, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

18. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის ე. კვიკვინიას წერილი, სადაც განმარტებულია, რომ გაერთიანებაში განხორციელებული ოპტიმიზაციის საფუძველზე განხორციელდა ქ. ხობის N3 საბავშვო ბაღის გაუქმება და ითხოვდა საბავშვო ბაღისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების დაბრუნებას, რადგან აღნიშნული ქონება არ წარმოადგენდა გაერთიანებისთვის საჭიროებას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც გაერთიანებისთვის გადაცემული ქონების

ამოღება ხორციელდება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ბესიკ ნაჭყებიას, საკრებულოს წევრებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით

ბ. ნაჭყებია - გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა აზიურ ფაროსანასთან წინაარმდეგ დაგეგმილ და გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აზიურმა ფაროსანამ 2016-17 წლებში ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მავნებლის პოპულაციის რაოდენობის შემცირებისა და კონტროლის მიზნით საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №224 განკარგულებით დამტკიცდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა და ამ პროგრამის საორიენტაციო ბიუჯეტი. პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2018 წელს განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. საინფორმაციო კამპანია, რომლის ძირითადი გზავნილები იქნება სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ჩართულობა, სახელმწიფოს აქტივობის ზრდა და მოსახლეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო უზრუნველყოფა. საინფორმაციო კამპანია განხორციელდება მასმედიის, სოციალური ქსელების, ბეჭდური მასალების საშუალებით, მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობით; 2. მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის, გადაადგილების მარშრუტის და ინტენსივობის დადგენას, სათანადო რეაგირებას და საპასუხო ღონისძიებების ოპტიმიზაციას. მონიტორინგი ასევე ხელს შეუწყობს ზოგად კვლევას მავნებლის ბიოლოგიისა და რიცხოვნების დადგენის თვალსაზრისით, რაც აუცილებელია გრძელვადიან პერსპექტივაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის

გეგმის შემუშავებისათვის. ინვაზიის ზონებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტყის საფარს და დაცულ ტერიტორიებს, რომელიც ასევე წარმოადგენს აზიური ფაროსანას გამოზამთრების არეალს. მონიტორინგის პროცესში სახელმწიფოსთან ერთად იქნება ჩართული მოსახლეობა და მათგან მიღებული შეტყობინებები დაფიქსირდება. ამ მიზნით შექმნილი სატელეფონო ცხელი ხაზის და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით; 3. აზიური ფაროსანას კონტროლის ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ინვაზიის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიების დამუშავებას (ქუჩები, ტყე და ტყის პირები, ქარსაფარი ზოლები, სიმინდის ნათესი დიდი მასივები, დაუსახლებელი პუნქტები). აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური საშუალებებიდან გამოყენებული იქნება: ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდები, ზეთოვანი ინსექტიციდები (თერმული ნისლის ტექნოლოგია), ფერომონიანი სატყუარები „მოიზიდე და მოკალი" სადგურებისათვის. ქიმიური დამუშავებისათვის გამოყენებული იქნება სამანქანო-სატრაქტორო შემასხურებელი საშუალებები. (საორიენტაციო ბიუჯეტის ფარგლებში შეძენილ იქნება 120 მაღალი გამავლობის ავტომობილი და ამდენივე შემასხურებელი აგრეგატი. 10 მაღალი გამავლობის ავტომობილი მონიტორინგისათვის); 4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პირობებში აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლას, მისი ბიოლოგიური მტრების გამოვლენას, მათი გამოყენების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, მონიტორინგისა და მცენარეთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანობის შესწავლას. დასასრულს გამომსვლელმა განაცხადა, რომ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე მავნებლის სრული მოსპობა შეუძლებელია. შესაძლებელია მისი პოპულაციის შემცირება, კონტროლი და მართვა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების დაცვას და მოსავლის დანაკარგების მინიმიზაციას 5-15%-ის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა საკრებულოს წევრებს, მათთვის საინტერესო და დამატებითი კითხვები შეეძლოთ დაესვათ მომხსენებლისთვის

აზრი გამოთქვეს: მ. ფილიპია, თ. აბაკელია - გამომსვლელები დაინტერესდნენ მოსახლეობას დაურიგდებოდა თუ არა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო წამლები?

ბ. ნაჭყებია - გამომსვლელის განცხადებით მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთების შესაწამლად წამალი არ დაურიგდებოდათ.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა დაინტერესდა მოხდებოდა თუ არა მიტოვებული ოჯახების დამუშავება?

ბ. ნაჭყებია - განმარტა, რომ ხელისუფლება მოახდენს ქუჩების და ჩიხების შეწამვლას და არა საკარმიდამო ნაკვეთების, თუ რაიმე შეიცვალა აღნიშნულთან დაკავშირებით მიაწვდის ინფორმაციას მოსახლეობას.

რ. სერგია - გამომსვლელი დაინტერესდა, რომელი პრეპარატითაც მუშავდება ქუჩები იყო თუ არა უსაფრთხო მოსახლეობისთვის

ბ. ნაჭყებია - განაცხადა, რომ აბსოლიტურად უსაფრთხოა აღნიშნული პრეპარატები მოსახლეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარე მადლობა გადაუხადა ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენელს ამომწურავი ინფორმაციისთვის და განაცხადა, რომ ერთობლივად, მოსახლეობის თანადგომით უნდა განხორციელდეს ბრძოლა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსავლის განადგურება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. კახა ლატარია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია
11. ია ჯიშკარიანი
12. როლანდ სერგია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. რამინ ხილაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. ირაკლი ნადარაია
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. დიტო ხასია
24. აკაკი ხურცლავა
25. ფრიდონ შონია
26. კობა გოქაძე
27. გენადი ქაძანაია
28. ნიკოლოზ ვეკუა
29. ავთანდილ ხუნჯუა
30. მერაბ ნადარაია
31. იგორ გოგოლაძე
32. კახა მიქაბერიძე